



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერონიკა



ვერონიკა (Veronica), ჩ ა ლ ა ნ დ ა რ ი, მცენარეთა გვარი შავნამალასებრთა ოჯახისა. ერთ, ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, უფრო იშვიათად ნახევრად ბუჩქები ან ბუჩქები (ავსტრალია და ახალი ზელანდია), აქვთ სწორი ან გართხმული ღეროები, მოპირისპირედ, სპირალურად ან რგოლურად განლაგებული მარტივი ან ღრმად დანაკვთული ფოთლები, მარტოული ან კენწრულ

მტევნისებრ ყვავილელებად შეკრებილი ლურჯი, ცისფერი ან მოთეთრო ყვავილები. გვარში 300-მდე სახეობაა, რ-ებიც მეტწილად ზომიერ სარტყელშია გავრცელებული. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ვ-ის 47 სახეობა იზრდება. აქედან 4 სახეობა საქართვე. ენდემია: გამიშვლებული ჩალანდარი (V. denudata), კემულარიას ჩალანდარი (V. kemulariae), იმერული ჩალანდარი (V. imerethica), გალათიური ჩალანდარი (V. galathica).

ლ. ხინთიბიძე
